სოციალური ქსელების გავლენა მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვებისა და ბიოლოგიური მშობლების/ოჯახის ურთიერთობაზე

ლალი კაშია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სოციალური სამუშაოს სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი,

სოციალური სამუშაოს მაგისტრი, მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020 წელი

განაცხადი.

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლალი კაშია, 08 ივლისი.

აბსტრაქტი

კვლევაში განხილულია ბავშვის ბიოლოგიურ გარემოში შენარჩუნების საჭიროება, სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული პრევენციული პროგრამები, რომლებიც ამცირებს შვილის მშობლებთან დაცილების რისკს, ასევე მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვების ბიოლოგიურ მშობლებთან ჩამოყალიბებული მიჯაჭვულობა, მათი ფსიქო-ემოციური ფონი და მშობლების მათდამი შემდგომი დამოკიდებულება. კვლევაში განიხილება მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებთან/ოჯახთან კომუნიკაცია და სოციალური ქსელების როლი ბავშებისა და მშობლების ურთიერთობაში.

კვლევა მიზნად ისახავდა, იმ ეთიკური დილემების და გამოწვევების დანახვასა და დადგენას, რომლის წინაშე დგება სახელმწიფო, ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებისგან/ოჯახისგან განცალკავების შემთხვევაში, აგრეთვე განხილულ იქნა ბავშვის ბიოლოგიურ გარემოს მოწყვეტისა და მინდობით აღზრდაში გადაყვანის მიზანშეწონილობა. კვლევის მიზანს და გამოწვევას წარმოადგენდა მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებთან/ოჯახთან სოციალური ქსელების მეშვეობით კომუნიკაციის შესაძლებლობის მოკვლევა, ასევე სოციალური ქსელების როლი შვილი-მშობლის გაუცხოების დაძლევასა და ჯანსაღი ურთიერთობის შენარჩუნება/ჩამოყალიბებაში.

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პრევენციული პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს ოჯახის გაძლიერებას ბავშვის ბიოლოგიურ გარემოში შენარჩუნების მიზნით, განხილული ლიტერატურის, სახელმწიფოში არსებული მდგომარეობისა და ჩატარებული კვლევით მიღებული შედეგების შესაბამისად გაწერილ იქნა რეკომენდაციები ბავშვისა და ბიოლოგიური მშობლების/ოჯახის ურთიერთობისა და კომუნიკაციის სახეებზე, რაც სამომავლოდ ხელს უწყობს და ზრდის ბავშვისა და მშობლის ურთიერთდამოკიდებულებას, აყალიბებს მიჯაჭვულობას. ასევე

კომუნიკაციასთან დაკავშირებულ პრობლემასთან გამკლავების ზომები და სახელმწიფოში შესაბამისი სერვისებისა და ღონისძიებების დაგეგმვისა და ჩატარების შესახებ რიგი რეკომენდაციები.

საკვანძო ტერმინებია: მინდობით აღზრდა, ბიოლოგიური ოჯახი, მიჯაჭვულობა, ბავშვი-მშობელის კომუნიკაცის სახეები, სოციალური ქსელით კომუნიკაცია.

Abstract

In this research is discussed the necessity of maintaining of child's biological environment, the preventive programs suggested by the state which reduces the risk of separation of child from his/her parents, also these children's, who are placed in foster care addiction to their biological parents, their psycho-emotional backgrounds and the parents' attitude to them.

In the research is discussed child's who is placed in foster care communication with the parents/family and the role of the social network in the relationship between children and parents.

The aim of the research was to see and determine those ethical dilemmas and challenges in front of which the state stands in case of child's separation from his/her parents or family, also was discussed the child's disruption of the biological environment and expediency of his/her transfer to foster care. The aim and the challenge of the research was in foster care child's opportunity of communication with his/her biological parents or family with the help of the social network and the role of the social network and maintaining the healthy relationship.

The work presents the current situation in Georgia and preventive programs which are aimed to strengthen of the family in case of child's maintaining in biological environment.

According to the results of the study, recommendations were written about the relationship between the child and his/her parents or family which increase interdependence between the child and his/her parents.

The study also shows measures to deal with problems and recommendations how to plan appropriate services and events.

The key terms are: foster care, biological family, addiction, types of child-parent communication, social network communication.